პროფესიონალი

№83

PROFESIONALI

,,მარტვილავტოგზა“



შპს ,,მარტვილავტოგზა”
მარტვილი მშვიდობის ქ.#148
ტელ.: 599303598

პროფესიონალი +

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ვ. ფანცულაიას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით, ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

25.02.18. - 25.03.18.

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს
მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის
პლენარული სხდომა

პარლამენტმა იმსჯელა საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ და „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონების“ მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტზე, რომელიც აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხთარლიზე თავდასხმის, მისი გატაცების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს ეხება. პროექტი კოლეგებს საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ელენე ხოშტარიამ გააცნო.

ელენე ხოშტარიას განცხადებით, საკითხი პარტიულ ოპონირებას სცილდება და მომხდარის დადგენა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ინტერესში უნდა იყოს კომისიის შექმნა, რომელიც ყველა კითხვას გასცემს პასუხს, რაც აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საკითხს უკავშირდება. მისი შეფასებით, კომისიის შექმნას პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ელენე ხოშტარიას თქმით, კომისიის შექმნა ეს იქნება პარლამენტის გზავნილი, რომ პარლამენტი საპარლამენტო კონტროლის ფუნქციას იღებს თავის თავზე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებით, დადგენილების პროექტის თუნდაც სათაური იმთავითვე მიუთითებს ოპოზიციის წინასწარ განწყობასა და გეგმაზე, დამოკიდებულებაზე, თუ რა შედეგი სურს მიიღოს ოპოზიციამ ამ საგამოძიებო კომისიის შექმნით. ის ფაქტი კი, რომ კომისიის შექმნა ოპოზიციამ თავიდანვე მოითხოვა და არ დაელოდა

გამოძიების დასრულებას, უმრავლესობის წევრების აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ოპოზიციისთვის ეს უფრო პოლიტიკური და პარტიული საკითხია და არა ადამიანის უფლებების დაცვაზე წუხილი.

თავის მხრივ, საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა გამოთქვეს მზადყოფნა შეიცვალოს კომისიის სახელწოდება იმ შემთხვევაში, თუკი მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ.

* * *

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის შეფასებით, ოპოზიციის მხრიდან წარმოდგენილი ყველა არგუმენტი იყო პოლიტიკური.

„ამ საქმეში კითხვის ნიშნები მართლაც არსებობს, აქ დაგეთანხმებით, ამ კითხვებს მართლა უნდა გაეცეს პასუხი, საზოგადოებას კითხვები აქვს, არის გარკვეული ვერსიებიც, ეჭვებიც, მაგრამ არა ისე, როგორც თქვენ ჩაწერეთ სათაურში და ტენდენცია აქ გამოჩნდა, სწორედ ამას ვსაუბრობდით. როდესაც მე წარმომადგენელს ვეკითხებოდი იმის შესახებ, რომ რას გააკეთებს კომისია განსხვავებულს პროკურატურისგან, აქაც, სამწუხაროდ, პოლიტიკური პასუხები მოვისმინეთ. ვერ მოვისმინეთ სამართლებრივი პროცედურა, რა სამართლებრივი მექანიზმებით, პროცედურებით და საპროცესო მოქმედებებით უნდა მივიდეთ რაღაც შედეგამდე“, - მიმართა მამუკა მდინარაძემ ოპოზიციას, რომელიც მისი შეფასებით, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური არგუმენტებით საუბრობს.

* * *

„მე სამართლებრივი არგუმენტები, შესაბამისი პროცედურების დაცვით, როგორ უნდა მივიდეთ კონკრეტულ შედეგამდე, დღეს არ მომისმენია. შესაძლებელია, ვიღაცამ თანხმობა განაცხადოს თქვენს წინადადებაზე, შესაძლებელია ვიღაც წინააღმდეგი იყოს, ვიღაცამ თავი შეიკავოს, მაგრამ რეალობა არის ეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც რეალურად და ობიექტურად რომ ვთქვა, მყარი არგუმენტები ამ კომისიის შესაქმნელად არ ყოფილა, თორემ კითხვის ნიშნები რომ არსებობს და ამაზე პასუხი უნდა გასცეს სახელმწიფომ, საგამოძიებო ორგანოებმა, ეს უდავოა“, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

* * *

საკითხის განხილვის დასასრულს კოლეგებს მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ის კონსტრუქციული გარემო, რომელშიც ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს და რა თქმა უნდა, პარლამენტს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, რომ თვალი მიადევნოს ამ საკითხზე გამოძიების პროცესს. არჩილ თალაკვაძე ასევე გამოძიების საკითხსაც შეეხო: „რაც შეეხება თვითონ გამოძიებას. აქ არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც დავინახეთ თქვენს გამოსვლებში - ეს არის მტკიცებით საუბარი იმაზე, რაზეც ამბობთ, რომ უნდა გამოვიძიოთ და დავადგინოთ. ერთი მხრივ, თქვენ ამბობთ, მოდით გამოვიძიოთ, დავადგინოთ რა ხდება. მეორე მხრივ, თქვენ, მტკიცებით ფორმაში საუბრობთ იმაზე, რის გამოძიებასაც გეგმავთ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ უკვე იცით რის თქმასაც აპირებთ ამ საგამოძიებო კომისიის ფარგლებში და ეს წინასწარ გაქვთ უკვე დაგეგმილი, რაც ბუნებრივია იმის ნდობას, რომ თქვენთან ერთად ამ საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნით ჩვენ გავალთ იმ საერთო შედეგზე, იმ საჯარო ინტერესის პასუხებზე, რაზეც ჩვენ ერთად ვსაუბრობთ პარლამენტში, ამცირებს ნდობას ამ დეკლარაციის მიმართ“, - აღნიშნა მან.

* * *

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, ის, რომ აფგან მუხთარლის საქმეზე მიმდინარე გამოძიება სწრაფად ვერ სრულდება, არაა საქართველოს საგამოძიებო ორგანოების ბრალი, ვინაიდან დასაკითხ სუბიექტზე ხელმისაწვდომობა ამ ეპატზე უზრუნველყოფილი არ არის.

* * *

არჩილ თალაკვაძის თქმით, ეს შეზღუდვა პრობლემას შეუქმის პარლამენტის საგამოძიებო კომისიასაც. მისი ინფორმაციით, ყველა საგამოძიებო მოქმედება, გარდა სუბიექტის დაკითხვისა, განხორციელებულია და ამ მიმართულებით საკმაოდ მასშტაბური სამუშაოა გაწეული.

* * *

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიმდინარე გამოძიებას ჯერ არ ამოწურავს თავისი დრო და რესურსი და ვფიქრობთ, როდესაც ეს დრო და რესურსი ამოიწურება, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შემდგომ შესაძლოა, პარლამენტში დავუბრუნდეთ ამ საკითხის და საპარლამენტო კომისიის საკითხის განხილვას. შესაბამისად, ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, პარლამენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ინარჩუნებს მაღალ ინტერესს, ჩვენ თვალს მივადევნებთ გამოძიების მიმდინარეობას და თვალს მივადევნებთ იმასაც, რომ პასუხები შეკითხვებზე საზოგადოებამ და პარლამენტის წევრებმა მიიღონ“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ და იმედი გამოთქვა,

რომ „გამოძიება დროს და იმ რესურსებს, რაც მის ხელთ არის, მაქსიმალურად გამოიყენებს იმისათვის, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით შეკითხვებს გაეცეს პასუხი“.

* * *

დასასრულ, ელენე ხოშტარიამ დასკვნითი სიტყვით მიმართა კოლეგებს და საპარლამენტო უმრავლესობას საკითხის მხარდაჭერისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

* * *

ამის შემდეგ, პარლამენტმა იმსჯელა ასევე საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც ძირითადად საქართველოს სგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს.

მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები ეხება მოგების გადასახადის შემცირებას; სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღებას; მცირე ბიზნესთან დაკავშირებული ურთიერთობების ახლებურად განსაზღვრებას; იმპორტის გადასახადის გაუქმებას; კონკრეტული სახის საქონლის აქციზით დაბეგვრის განაკვეთების ცვლილებას. საკითხები განსახილველად გამოიტანეს პარლამენტის წევრებმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და გიორგი კანდელაკმა. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, წარმოდგენილი ინიციატივების მიზანს მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მხარდაჭერა წარმოადგენს. როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პაატა კვიჟინაძემ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგა და კიდევ გეგმავს გარკვეულ ღონისძიებებს ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინებისა და აღნიშნული კატეგორიის ბიზნესმენთა მხარდაჭერისათვის. წარმოდგენილი კანონპროექტები კი მისი შეფასებით, თითქმის ერთი მილიარდ 600 მილიონი ლარით გამოიწვევს ბიუჯეტის შემცირებას და ამ ნაბიჯზე წასვლა ნამდვილად უპასუხისმგებლობა იქნება.

* * *

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანმდევი კანონპროექტები III მოსმენით განსახილველად წარადგინა და აღნიშნა, რომ კომიტეტის სხდომაზე რედაქციული ხასიათის ცვლილებები არ გამოუთქვამთ.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განსახილველად წარადგინა პარლამენტის დადგენილების პროექტი „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატთა შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ“ განსახილველად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ გამოიტანა. კომისიის შემადგენლობა 16 წევრით განისაზღვა.

კანონმდებლებმა, ტექნიკური შესვენების შემდეგ, სხდომაზე განხილულ საკითხებს კენჭი უყარეს. პარლამენტმა 87 ხმით, ერთხმად, მხარი დაუჭირა პარლამენტის დადგენილების პროექტს „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატთა შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, ხოლო 86 ხმით, ერთხმად - პარლამენტის დადგენილების პროექტს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ“.

პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა საპარლამენტო უმცირესობის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც დღევანდელ პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილეს. პარლამენტის დადგენილების პროექტის - „აზერბაიჯანელ ჟურნალისტ, აფგან მუხთარლიზე თავდასხმის, მისი გატაცების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ მომხრე იყო პარლამენტის 15 წევრი, წინააღმდეგი - 22.

განათლება და პროფესიული განვითარება ქვეყნის წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა...



ესოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების - მექანიზმების ძიება და მათი შემდგომი სრულყოფა, რაც სამომავლოდ შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, წლების წინ, სამწუხაროდ, მისი თანამიმდევრული განვითარების პრობლემა, უპირველესად ტერიტორიულ ერთეულთა ინფრასტრუქტურულ არასტაბილურობასთან იყო დაკავშირებული და ამის არაერთი დადასტურებული ფაქტი არსებობს. როგორც ცნობილია, ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მცხეთა-მთიანეთს კი თავისი ზღაპრული სილამაზიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს. დღევანდელი ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს ეფექტურად გამოიყენოს ამ კუთხის ბუნებრივი გარემო - ლამაზი ხედები, ჯანსაღი კლიმატი და თვალწარმტაცი მთები, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისთვის. მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს, ბატონ **ლევან ზაუტაშვილს** მიაჩნია, რომ რეგიონის ბუნებრივი თვითმყოფადობა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, მოკლე ხანში, მთლიანი მხარის კეთილდღეობის საწინდარი გახდება.

- ბატონო ლევან, რა სიახლეებია თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიაში?

- ამ ეტაპზე წარმატებულად მიმდინარეობს, როგორც დაწყებული საქმეების გეგმის მიხედვით დასრულება, ისე ახალი და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. 2017 წელს, მცხეთა-მთიანეთის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, რამდენიმე მასშტაბური მშენებლობა წამოვიწყეთ. გარდა ამისა, პრიორიტეტული იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე, შესაბამის სამსახურთან თუ თანამდებობის პირებთან ერთად, თავად მივდიოდი და პროცესებს პირადად ვაკონტროლებდი. ძალზედ მნიშვნელოვანია დარიალისა და დევდორაკის ხეობების გადაკვეთის ადგილას, საერთაშორისო მნიშვნელობის

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, დაახლოებით 2-კილომეტრიანი გვირაბის სამშენებლო სამუშაოების დაწყება. როგორც ცნობილია, ბოლო წლების განმავლობაში, ამ ადგილებში სტიქია რამდენჯერმე განმეორდა, რაც საფრთხეს უქმნიდა გარკვეულ მონაკვეთზე მგზავრების გადაადგილებას და სატრანზიტო მოძრაობის განხორციელებას. ამჟამად სამშენებლო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და წელს უნდა დასრულდეს. პროექტის ფარგლებში აშენდება 1,7 კმ სიგრძის გვირაბი, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 8,5 მეტრი იქნება. გვირაბის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 47 მილიონ ლარს აღემატება. გარდა ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდორნაში, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინიციატივით, ეკოლოგიურად სუფთა ჰესის მშენებლობა დაიწყო. ინვესტიციის საერთო მოცულობა 10 მლნ ლარია. 2.5 მგვტ სიმძლავრის ჰესი შემდეგი წლის შემოდგომაზე უკვე ექსპლუატაციაში ჩაეშვება და საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემის განუყოფელი ნაწილი გახდება. აღნიშნული პროექტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ენერგოსისტემის განვითარების მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას, ასევე, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

- ძალიან შთამბეჭდავია...

- გარდა ზემოთხსენებულისა, გვაქვს სხვა სიახლეებიც. ჩვენი თანადგომით, ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს. ამ ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, იგეგმება წყლის რეზერვუარების მოწყობა სოფელ ჩანადირთკარში და წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება სოფლებში - ჟუბოტა, ძებნიაურები, თეგერაანები.



მოეწყობა საქლორატორო, განხორციელდება სოფლების შიდა დაქსელვა. გარდა ამისა, ფრიად მნიშვნელოვანია კობი-გუდაურის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგაც, გუდაურში მოხვედრა უკვე კობიდან იქნება შესაძლებელი. ასევე მიმდინარეობს გათოვლიანების მეორე ფაზა, რაც სეზონის გახანგრძლივებას და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ხელოვნური წყალსაცავის მშენებლობა. ზამთრის კურორტებზე ინფრასტრუქტურის გასანვითარებლად გამოყოფილი თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ გუდაური-კობის საბაგირო ხაზის მშენებლობისთვის არის გათვალისწინებული. მას შემდეგ, რაც საბაგირო გზა ყაზბეგს და გუდაურს დააკავშირებს ერთმანეთთან, უამინდობისა და დიდთოვლობის გამო ჩაკეტილი გზის პრობლემაც აღმოიფხვრება. ახალი სასრიალო ტრასა დაახლოებით 4 კილომეტრი სიგრძის იქნება და ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, მასზე სრიალი ივნისშიც იქნება შესაძლებელი.

- მნიშვნელოვანი გეგმები გაქვთ ზოგადად ტურიზმის მიმართულებით...

- ამ მხრივაც მართლაც პროდუქტიულად ვმუშაობთ და რეგიონის მთიან ზონაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივა ძალზედ მაღალია. მოხდა ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყრის ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება, შეიქმნა ოფიციალური ვებ-გვერდი, დაიბეჭდა ბროშურები რჩევებით საოჯახო სასტუმროების მოწყობის მსურველთათვის, გამოიცა თემატური კალენდრები. მატერიალური დახმარების სახით, ტურიზმის სერვისში ჩართულ პირებს საჩუქრად გადაეცათ კარვები, ცხენის აღკაზმულობა და ტურისტული სალაშქრო გაზქურები. პარალელურად, დუშეთში, რომელსაც ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, ახალი ძალებით გაგრძელდება მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე 40 სახლის პროექტირება უკვე დასრულებულია და მსოფლიო ბანკთან არის შეთანხმებული. მალე განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ჭილაშვილების სასახლის რეაბილიტაცია, რაზეც 3,5 მილიონი დოლარი დაიხარჯება. პროექტი ითვალისწინებს სასახლის შენობის სრულ განახლებას, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისასვლელი გზის აღსადგენ სამუშაოებს. დარწმუნებული ვარ, ბატონი დავით ლორთქიფანიძის თანადგომით, რომელიც ძალიან გვეხმარება, საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი შეემატება.

- ტურიზმის პარალელურად, აუცილებელია ზოგადი ინფრასტრუქტურის განვითარება...

- შედეგებს არც ამ მიმართულებით ვუჩივით. ბოლო პერიოდში ახალი კულტურის სახლები გაიხსნა დუშეთსა და მცხეთაში. გაზიფიცირდა დაბა სიონი და ჟებოტის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები. დასრულდა თიანეთი-ჟინვალის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა და აშენდა საბავშვო ბაღი სოფელ ტუშურებში. რეაბილიტირდა, როგორც არჩილის მონასტერთან მისასვლელი გზა, ისე სოფელ ფხელშესა და ნარეკვავის ხიდები. ამოქმედდა იაფი მუნიციპალური ტრანსპორტი დუშეთის მუნიციპალიტეტში და გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი დაბა ფასანაურში. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის რამდენიმე სოფელი ერთმანეთს მოასფალტებული გზით დაუკავშირდა, ხოლო დაბა სტეფანწმინდაში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფიცხელაურისა და რუსთაველის ქუჩებს. დაგეგმილი გვაქვს აქტივობები მუცოს მიმართულებით.

- მართლაც უამრავი კეთდება მოსახლეობის სასიკეთოდ...

- ვცდილობთ წინსვლა ყველა მიმართულებით გვქონდეს. ამას წინათ, ჩვენი თაოსნობით, დაბა თიანეთში ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნა. პროფესიული სასწავლებელი დაკომპლექტებულია სერტიფიცირებული პედაგოგებით და გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით გახლავთ აღჭურვილი. ამ ეტაპზე სასწავლებელს 17 სტუდენტი ჰყავს, რომლებიც მეფუტკრეობასა და სატყეო საქმეს შეისწავლიან. საგაზაფხულო მიღებისთვის ახალი სპეციალობების დამატება იგეგმება, რომელთა შორის იქნება

მეცხოველეობა, ხის მხატვრული დამუშავება, ტრაქტორისტ-მემანქანე, რძის და ყველის წარმოება, თმის სტილისტი და სხვა საჭირო პროფესია. მიმაჩნია რომ განათლება და პროფესიული განვითარება ქვეყნის წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა, ამიტომ, საზოგადოებრივი კოლეჯი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ახალგაზრდების პროფესიული აღზრდის და მომავალი დასაქმების პერსპექტივაში. გარდა ამისა, აღვნიშნავ ქალაქ მცხეთაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას, რომელშიც განთავსდება ორი საცურაო აუზი მოზრდილთათვის და ბავშვებისთვის. მოეწყობა მოსაცდელი, ადმინისტრაცია, კაფე. განთავსებული იქნება ტრიბუნა, ჰოლი, სატრენაჟორო დარბაზი გასახდელებით და მწვრთნელთა ოთახები. მეორე ნაწილში განთავსდება უნივერსალური დარბაზი თავისი გასახდელებით, დამხმარე სათავსოებითა და მაყურებელთა ტრიბუნით.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- უახლოესი და უმთავრესი სამომავლო პროექტი, რომელზეც მთლიანად ვიქნებით გადართული, გახლავთ სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. ამ ეტაპზე განხილვის სტადიაშია დღეს არსებული გზის ნაცვლად ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზიდან სოფელ როშკამდე მისასვლელი ახალი, 6.4 კილომეტრიანი გზის მშენებლობა, ვინაიდან არსებული გზა ვერ აკმაყოფილებს საჭირო ტექნიკურ პარამეტრებს. აღსანიშნავია, რომ მთავრობა მაღალმთიანი რეგიონების დამაკავშირებელი გზების მშენებლობაზე დაახლოებით 140 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს. ეს მონაკვეთი მაღალი გამავლობის მანქანებისთვის იქნება განკუთვნილი და მისი მშენებლობა, წინასწარი გათვლებით, 2020 წელს უნდა დასრულდეს.





დარწმუნებული ვარ, მიგრაცია შეწყდება

როგორც მთელს განვითარებულ სამყაროში, საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ემყარება, რომელიც საკუთრების უფლების განუხრელ დაცვას, გამჭვირვალე ურთიერთობებს და კერძო სექტორის თავისუფლებას გულისხმობს. პროცესები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. აქედან ერთ-ერთი პრიორიტეტულია რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული საქართველოს უმთავრეს საჭიროებებსა და ფართო გამოწვევებზეა ორიენტირებული. უკანასკნელ წლებში წარმატებით შემუშავდა ახალი სტანდარტები, გათვალისწინებულ იქნა მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ტარდება ნაპირდაცვითი და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები. აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში დარეგულირდა მიწათსარგებლობის საკითხები, მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება-ხელშეწყობა. შეიქმნა ფერმერთა რეესტრი. ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემა. მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი არიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ხოლო ფერმერული კოოპერატივების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ ტენდენციებისკენ სწრაფვა დუშეთის მუნიციპალიტეტშიც ნათელი და თვალშისაცემია. წინსვლა ყველა მიმართულებით შეინიშნება და რაიონში წარმატებულად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სწორედ სიახლეებზე და სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ზურაბ სეხნიაშვილი**.

- ბატონო ზურაბ, დუშეთში წლებია ინფრასტრუქტურის სტაბილური განვითარება შეინიშნება...

- როგორც მთლიანად ქვეყანაში, დუშეთის მუნიციპალიტეტშიც, ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები, წარმატებით ფინანსდება უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ამასთან დაკავშირებული ხარჯები.

- უფრო კონკრეტულად?

- მიმდინარეობს მუშაობა გზების მოასფალტების პროექტებზე, რამდენიმე მიმართულებით. 2019 წლის ბოლოსათვის მოასფალტებული გზით ავალთ ბარისახომდე. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მოხდება ბუნებრივი აირის დანახარჯის სუბსიდირება და სასმელი წყლის მიწოდება. ახლახან შევიძინეთ წყლის საქაჩი ტუმბო და მოხდა მისი დამონტაჟება, რის შედეგადაც წყალი სოფელ ოძისის ზედა უბანს მიეწოდება. ხოლო ქვედა უბანში, ეს პრობლემა ამა წლის გაზაფხულისთვის გადაიჭრება. გარდა ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბოდორნაში, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინიციატივით ოფიციალურად დაიწყო ეკოლოგიურად სუფთა ჰესის მშენებლობა. იგი ექსპლუატაციაში 2018 წლის შემოდგომაზე გაეშვება და საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემის განუყოფელი ნაწილი გახდება. მოკლე ხანში დავასრულებთ 112-ის ფილიალის და ფასანაურის სახანძროს მშენებლობას. გარდა ამისა, დაახლოებით 1 300 000 ლარია დახარჯული სოფლების განვითარებაზე. მაღაროში მალე გავხსნით დამბალი ხაჭოს ამოსაყვან საწარმოს, ხოლო „როუზ ოფისის“ მოთხოვნით და კოოპერატივ „შარახევის“ ინიციატივით განხორციელდა ფურისულას და ასკილის ჩაბარება, რამაც მოსახლეობას დამატებითი შემოსავალი მოუტანა.

- სოციალური კუთხით რა ვითარებაა?

- ამჟამად სოციალურად და-

უცველთა რაოდენობა 290 სოფელში 7464 ბენეფიციარს შეადგენს. შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მიმართულება ითვალისწინებს პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და ბენეფიციარებისათვის უზრუნველყოს საჭიროებებზე დაფუძნებული გარანტიების შეთავაზება. ამ მიზნით განხორციელდება ეკონომიკურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების ხელშეწყობა, ერთჯერადი სოციალური დახმარება, 110 ბენეფიციარისათვის უფასო სასადილოთი მომსახურება, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯები. ამა წლის 8 იანვარს, განხორციელდა სოფელ ბაქაქურების მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა და 100 კუბური მეტრი საშეშე მერქნით 30-მდე ოჯახი მომარაგდა. ასეთივე დახმარება მიიღო გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 11-მა ოჯახმა.

- დუშეთის რეკონსტრუქციის და ზოგადად ტურიზმის მიმართულებით რა ვითარებაა?

- 2018 წლის 16 იანვარს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში ჩატარდა ქალაქ დუშეთის ისტორიული ქუჩების ურბანული განსახლების სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა. პროექტი, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მესამე რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ხორციელდება ითვალისწინებს ქალაქის ისტორიული ნაწილის - რუსთაველის, ერეკლე II-ს, შამანაურის, ჭავჭავაძის, კოსტავას და წმ. ნინოს ქუჩებზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას. შედეგად, 40 სახლზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება. ჩვენი საქმით და მოწადინებით დუშეთი პატარა სიდნაღს უნდა დავამსგავსოთ. შესაბამისად, განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა და პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება. ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა და სხვა ობიექტების ტურისტული პოტენციალის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების გამოვლენა, გააზრება და განვითარება.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- როგორც მოგახსენეთ, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, კომუნალური მეურნეობის განვითარება წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სასმელი წყლის მიწოდება და გარე განათების მოწყობა, მოხდება აღნიშნული პროექტების განხორციელება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. მოწესრიგდება კანალიზაცია. განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის იერსახის, სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული თეთრის ხარჯვა ჩვენს მუნიციპალიტეტში გამჭვირვალე და საჯაროა. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო უკეთესი გახდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

ძალა ერთობაშია

მცხეთა საქართველოს ძველი დედაქალაქია, ადგილი, რომელიც უკავშირდება ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, მცხეთიდან იწყება საქართველოში ქრისტიანობის ისტორია. ქრისტიანულ სიწმიდეთა შორის ქართველთათვის უდიდესი - უფლის კვართი სწორედ მცხეთაშია დასვენებული. დღეისათვის მცხეთა იუნესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შესული. რაც შეეხება ქალაქის თანამედროვე სახით ჩამოყალიბებას, ამაზე არსებითი გავლენა მრავალმა გარემოებამ იქონია. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ის გამუდმებულ ტრანსფორმაციას და რეკონსტრუქციას განიცდის. შესაბამისად, წლების განმავლობაში ძალზე მწვავედ იდგა ქალაქის ურბანიზაციის განვითარების პრობლემა. დღეისათვის, ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია, ისე როგორც ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, უმუშევრობითა და სოციალური შეჭირვებებით გამოწვეული პრობლემები. საბედნიეროდ, დღეისათვის, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ეფექტურად უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და მთლიანი ადმინისტრაციული ერთეულის მართვას. მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით ხელმძღვანელობს, ხოლო მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **გიორგი კაპანაძე** ცდილობს პირნათლად შეასრულოს ზემოთხსენებული ვალდებულებები და ყველანაირად გვერდში დაუდგეს თავის თანამოქალაქეებს...

- ბატონო გიორგი, დიდი ხანი არ არის, რაც მცხეთის მერი გახდით. რა იყო ყველაზე რთული თქვენთვის პირველ ეტაპზე?

- ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ჩემი თანამდებობაზე არჩევის შემდეგ გადავდგით, შტატების დაკომპლექტების პროცესი გახლდათ. კადრების შერჩევა პროფესიონალიზმისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით მოხდა. შესარჩევი კონკურსები ღია და გამჭვირვალე იყო. საბოლოოდ, ძველი და ახალი კადრების შერწყმით, ჩამოყალიბდა გუნდი, რომელმაც კარგად იცის რა და როგორ უნდა აკეთოს.

- ამ ეტაპზე რომელი პროექტებია თქვენთვის პრიორიტეტული?

- მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, ამიტომ 2018 წლის ბიუჯეტის პირობებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია, ძირითადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას მოიცავს. ამ მიმართულებათა ფარგლებში, უკანასკნელ პერიოდში რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ახლახან, მცხეთის ნარეკვავის დასახლებაში, ხორცპროდუქტების ახალი საწარმო „ლიდერფუდი“ გაიხსნა.

- სოციალური და ჯანდაცვის საკითხები როგორ არის მოგვარებული?

- გასულ წელს, ამუშავდა ახალი 100-საწოლიანი, მრავალპროფილური „წმინდა მეფე მირიან და დედოფალ ნანას სახელობის მცხეთის სამედიცინო ცენტრი“. კლინიკა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული, რაც საშუალებას აძლევს პაციენტს, რაიონიდან გაუსვლელად მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება და ისარგებლოს უფასო და შეღავათიანი სამედიცინო სერვისით. პარალელურად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობით, მცხეთაში, 120 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით,

კორპუსებს ვაშენებთ. ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით, დევნილი ოჯახების განცხადების მიღება 23 იანვრიდან დაიწყო და 1 მარტს დასრულდა, ხოლო მშენებლობა 2018 წლის შემოდგომაზე დასრულდება. 120 ბინიდან 54 - ერთოთახიანია, 39-ოროთახიანი, 24 სამოთახიანი, 3 კი ოთხოთახიანი. გარდა ამისა, სულ მალე, მცხეთაში გაიხსნება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც შედგება ორი დამოუკიდებელი შენობისაგან. პროექტი მოიცავს 2 დახურულ საცურაო აუზს, აქედან: ერთი პატარა მოცულობით 10x6 მ-ზე და ერთი დიდი აუზი მოცულობით 25x16.5 მ-ზე, საყარჯიშო ოთახებთან ერთად. დახურული მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი 44x20 მ-ზე, რომლებშიც განთავსებული იქნება გასახდელები და საშხაპეები. მცხეთის რაიონისთვის სპორტ-დარბაზის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სპორტის პოპულარობას, სწორად წარიმართება ბავშვებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის გამოყენება, ხელი შეეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, წვრთნისა და შეჯიბრებების ნორმალურ პირობებს შეუქმნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას. კომპლექსი მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს უმასპინძლოს სხვადასხვა რეგიონული, ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ ასპარეზობებს. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება. პროექტის ღირებულება 6 მილიონი ლარია.

- როგორც ჩანს სპორტს განსაკუთრებით სწყალობთ...

- მომავალი თაობისთვის ჯანსაღი წესის დანერგვა მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჩემი ინიციატივით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა - ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, ფეხბურთის და ზოგადი სპორტის „ააიპი“, რომელთა მეშვეობით, საგრძნობი ბიძგი მიეცემა რაიონში სპორტის კონკრეტული დარგების განვითარებას. ამ სფეროში ჩვენ დიდი ტრადიციები გაგვაჩნია და ეს ყველაფერი არ უნდა დაიკარგოს. როგორც მოგახსენეთ, მალე დასრულდება სპორტკომპლექსის მშენებლობა. გარდა ამისა, წეროვნის, ვაზიანის, ქსნისა და ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაკეთდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, მათი მშენებლობა 2017 წლის ბოლოსთვის დაიწყო და დღეს უკვე სოფლის ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება. უყურადღებოდ არც კულტურა გვრჩება. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. თანამშრომლობა მიზნად ისახავს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას, რომელიც ასევე მოიცავს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობას. გარდა ამისა, მცხეთის ახლად გახსნილ კულტურის სახლში კულტურის მრავალპროფილური ცენტრი „სვეტი“ ამოქმედდა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური დარგების დაწინაურებას რეგიონის მასშტაბით, ახალგაზრდობის დაახლოებას და მათ გააქტიურებას შემოქმედებით სფეროში.

- სკოლამდელი ასაკის მოზარდთა საკითხი როგორ დგას მუნიციპალიტეტში?

- მცხეთა ამ მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში. ამის მაგალითია სოფელ ნატახტარში მიმდინარე საბავშვო ბაღის მშენებლობა, სადაც გათვალისწინებულია 5 სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ჯგუფის მოწყობა გასართობი ოთახით, საძინებლით, მუსიკისთვის განკუთვნილი ოთახით. პროექტით შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს მოწყობაც იგეგმება. გარდა ამისა, გავხსენით საგურამოს განახლებული ბაგა-ბაღი, სადაც 120 ბავშვს შეეძლება სკოლამდელი განათლების მიღება. აქ ჯგუფები გადატვირთული იყო და საჭირო გახდა ოთახების დამატება. ეზოში დამონტაჟდა გასართობი ატრაქციონები. ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, დაიგო კაუჩუკის საფარი. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რაც ბავშვების განვითარებისთვისაა საჭირო. მალე დასრულდება მუხრანის I საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 160 აღსაზრდელზეა გათვლილი და სხვადასხვა ასაკის 6 ჯგუფს მოემსახურება. საქართველოში ერთ - ერთი დიდი და ინფრასტრუქტურით გამორჩეული ბაგა-ბაღი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი იქნება და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვისაც ადაპტირებული. უკვე დამონტაჟდა ლიფტი და კეთილმოეწყო პანდუსებით. ბაღის მშენებლობის მთლიანი ღირებულება 1 653 676 ლარია. შენდება მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთითა და ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- კვლავაც აქტუალური იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია, ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის ქსელით ადგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ. ამასთან ერთად, მოგეხსენებათ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის ინიციატივით მცხეთაში სამშენებლო სამუშაოებზე მორატორიუმია გამოცხადებული. მთავარი წინააღმდეგობა ქალაქის ურბანული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არარსებობაა, რაც, ვფიქრობ, მოგვარებადი საკითხია. სწორედ ამ საკითხის დარეგულირების შემდეგ, უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მცხეთაში ტურიზმის განვითარებას. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩვენს ქალაქს პატარა იერუსალიმი უწოდა და ამიტომ, მიმაჩნია, რომ ტურისტული მოგზაურობა სწორედ მცხეთიდან უნდა იწყებოდეს. შესაბამისად, დაგეგმილი გვაქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტაძრების რეაბილიტაცია და სრული განათება.

ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს

ჩვენი ქვეყანა, წლებია ცდილობს, მსოფლიოსთან სრულფასოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია მოახდინოს და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან დარგობრივ თუ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს ახორციელებს. დღეისათვის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება არსებობს და მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონულ განვითარებას ენიჭება. მიმდინარე პროცესების სტიმულირებაში, ადგილობრივი ერთეულების წამყვანი როლი ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. საქართველოს მთავრობა ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროსაბჭოსთან, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და დეცენტრალიზაციის განვითარების კუთხით ფრიად სანდო პარტნიორად ჩამოყალიბდა. პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად მიმდინარეობს საშუალო ვადიან სტრატეგიაზე მუშაობა და მისი შექმნის მიზანი ეფექტური, ძლიერი და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება გახლავთ. ასეთ ვითარებაში კონკრეტულად იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების როლი, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე, ევროპული ინფრასტრუქტურა. თერჯოლის ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს რაიონის უპირატესობანი, სწორად განსაზღვროს აქცენტები და ეფექტური მენეჯმენტის საშუალებით უფრო მეტად პროდუქტიული გახადოს საკუთარი საქმიანობა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ბონდო სოფრომაძეს** მიაჩნია, რომ რაიონის ბუნებრივი თვითმყოფადობა და მიზანმიმართული სტრატეგიული განვითარება, უახლოეს ხანში, კეთილდღეობის საწინდარი გახდება.



- ბატონო ბონდო, რა სიახლეებია თერჯოლის მუნიციპალიტეტში...

- ძალზედ მნიშვნელოვანია, როდესაც შედეგები თვალსაჩინო და ხელშესახებია. მიმაჩნია, რომ ჩვენი ხელისუფლების თითოეული ნაბიჯი საგრძნობი და სასიკეთო უნდა იყოს. ანგარიშვალდებული ვართ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების წინაშე და გვსურს ხალხთან ხშირი, მჭიდრო კომუნიკაციის საშუალებით ის პრობლემები, რომელიც მათ წინაშე დგას, ეტაპობრივად მოვაგვაროთ და გარკვეული სოციალური სერვისები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ. ჩვენ ერთად, ჭკვიანურად, გონივრულად და თანმიმდევრულად უნდა შევცვალოთ თერჯოლა. ამიტომ, მზად ვართ, 24 საათის განმავლობაში ვემსახუროთ მოსახლეობას. ვიყოთ მათი მხარდამჭერი და ყველა იმ სიკეთის მიმტანი, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. ამ თანამდებობაზე სწორედ იმიტომ მოვედი, რომ თერჯოლა ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე რაიონი გახდეს.

- მოგვიყვეთ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე...

- რაიონში ინფრასტრუქტურის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს, ეს მიმართულება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და სიახლეების ნაკლებობასაც არ განვიცდით. არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოხდა სოფელ ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, ძევრი-ზედა სიმონეთის დამაკავშირებელ გზაზე დაიგო

ასფალტო-ბეტონის საფარი. ქ. თერჯოლაში ლესელიძის ქუჩაზე განხორციელდა დაზიანებული საავტომობილო გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებს ჩაუტარდათ მოასფალტების სამუშაოები. გარემონტდა საბავშვო ბიბლიოთეკა, ხოლო ოთხი ძმის ქუჩაზე, ადგილობრივ მეწარმეთა შემოწირულობებით, საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი აიგო. მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტები განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

- წელს რა პროექტები იგეგმება?

- მიმდინარე, 2018 წელს, დაგეგმილია წყლის სისტემების მოწყობა ზედა სიმონეთში, სიქთარავასა და ბარდუბანში. ქვედა სიმონეთში, ეწერში, კვახჭირსა და რუფოთის ჭანკვეტაძეების უბანში განხორციელდება საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. შეკეთდება ჭოგნარი-ოდილაურის, თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის, ჩხარი-ძევრის და გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი გზები. ასფალტო-ბეტონის საფარით კეთილმოწყობა სოფელ ძევრის ცენტრი და რობაქიძის ქუჩა ქალაქ თერჯოლაში. ხოლო ჯაბიძის ქუჩაზე დაგეგმილია სასმელი წყლის მაგისტრალის ამოქმედება.

- სოციალური კუთხით რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

- მუნიციპალიტეტში მთელი წლის განმავლობაში განიხილება შემოსული განცხადებები, რომელთა საფუძველზეც ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ხანდაზმულ, ახალშობილ, ვეტერან და მრავალშვილიან ბენეფიციარებს. დამტკიცებულია მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვა და სხვა სოციალური პროგრამები - ყოველთვიური დახმარება გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მკვეთრად გამოხატული პირველი ჯგუფის ინვალიდებზე, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, ლეიკემიით დაავადებულებზე. გავზარდეთ დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარებისათვის გასაცემი თანხის ოდენობა და ნაცვლად 100 ლარისა, ისინი ყოველთვიურად 150 ლარს მიიღებენ.

- მოსახლეობის სხვა პრობლემებზე რას გვეტყვით?

- როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი მიზანია, ყველა სოფელში მივიდეთ, მათი პრობლემები მოვიკითხოთ, მხარდაჭერა გამოვუცხადოთ და მათ მოგვარებაში დავეხმაროთ. მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრების შედეგად, ცხადი გახდა, რომ ამ ეტაპზე მათთვის პრიორიტეტულია საგზაო ინფრასტრუქტურის, ბოგირების, სანიაღვრე სისტემისა და სასმელი წყლის ქსელის მოწესრიგება. შესაბამისად, ჩვენი მიზანია აღმოიფხვრას საყოფაცხოვრებო პრობლემები - ყველა სოფელში იყოს გზა, ბუნებრივი აირი და სასმელი წყალი. უნდა ვიგრძნოთ, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში ვცხოვრობთ და ამიტომ, სასიკეთო ცვლილებები სწორედ სოფლიდან უნდა დაიწყოს. ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას, რასაც სხვადასხვა პროგრამებთან ერთად, ტურიზმის განვითარებაც შეუწყობს ხელს. თერჯოლას აქვს მზარდი ტურისტული პოტენციალი. რაიონის საინტერესო და ცნობილ ტურისტულ ობიექტებს შორისაა ნავენახევის მღვიმე, რომელიც წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა. ამჟამად აქ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს და პირველ ვიზიტორებს მღვიმე გაზაფხულისთვის მიიღებს. პარალელურად, დავეხმარებით საოჯახო ტიპის სასტუმროების დარეგისტრირების მსურველებს, რაც მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. აქვე მინდა გავაჟღერო, თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ელგუჯა გოცირიძის ინიციატივა, რომლის მიხედვით, იმ მოსწავლეს, რომელსაც განსაკუთრებით მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მისი სახელობის სტიპენდია დაენიშნება.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებს...

- ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ახლახან შევხვდი ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლებსა და მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დირექტორებს, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამომავლო გეგმებზე ვიმსჯელეთ. მიმაჩნია, რომ მომავალ თაობაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, სასურველი შედეგის მისაღწევად კი მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო. ჩვენ ვზრუნავთ, რომ მაქსიმალურად ხარისხიანი კვება, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი შევიტანოთ ბაღებში. პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი აირით გათბობის სისტემის დამონტაჟება, მოწესრიგებული - სველი წერტილები და ზოგადად ინფრასტრუქტურა. ვხედავთ, რომ პრობლემები არსებობს, მაგრამ მათი მოგვარების გზები დასახული გვაქვს და ეტაპობრივად ვახორციელებთ.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან უამრავი პროექტის განხორციელება იგეგმება. კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების, ბორდიურების და ბარიერების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. გავაგრძელებთ ინვესტიციების მოზიდვას. ვაპირებთ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კვლავაც გვქონდეს მჭიდრო კავშირი, მოვისმინოთ მათი აზრი პრობლემებსა და საჭიროებებზე. ჩემი დევიზი ხალხთან ახლოს ყოფნაა, რადგან მიმაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა-პირიქით. ვიმედოვნებ, რომ ჩემი, როგორც მერის მოღვაწეობა ბოლომდე ღირსეული იქნება, - სწორედ ისეთი, როგორც თერჯოლის რაიონს და მის მოსახლეობას შეეფერება.



- ბატონო ზაზა, გვიამბეთ კასპის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოების შესახებ...

- კასპის მუნიციპალიტეტის მერია ყოველი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, მაქსიმალურად ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაც ხელს უწყობს არა მარტო ტურიზმის განვითარებას, არამედ მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას. 2017 წელს, აქცენტი გაკეთებული იყო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალური მომსახურების გაუმჯობესებაზე, გზების, ხიდების, სასმელი წყლის, წყალარინების, საბავშო ბაღების, გაზიფიცირებისა და სხვა სამუშაოების მოწყობა-რეაბილიტაციაზე. ჩატარდა მნიშვნელოვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გარემოს დასუფთავებაზე.

- იქნებ უფრო კონკრეტულად მოგვახსენოთ?

- შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამ მიმართულებით გასულ წელს, პრიორიტეტი მაღალმთიანი დასახლებისა და გამყოფი ხაზისპირა სოფლებს მიენიჭა. კოდისწყაროს და ლამისყანის ადმინისტრაციულ ერთეულში მოასფალტდა ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მაღალმთიანი სოფლების გუდალეთი-ვარჯაანის და ცხავერი-გოსტიბეს მისასვლელ გზებს, ხოლო ბურჯების გამაგრებითი სამუშაოები - კასპი-კავთისხევის საავტომობილო და ე.წ. „კოწახურას“

მუნიციპალიტეტს საკუთარი სტრატეგიული მიმართულებები გააჩნია

2017 წელს დიდი გამოწვევების წინაშე იდგა ჩვენი ქვეყანა. მიუხედავად პრობლემებისა, ეკონომიკური წინსვლა არ შეჩერებულა და რეგიონში პირველ ადგილზე ვართ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიხედვით. ვფიქრობ, ახლა უფრო მეტი მონდომებით უნდა ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი - ამბობს კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ზაზა მარიდაშვილი** და დარწმუნებულია, რომ ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, საქმისადმი სწორი და მიზანმიმართული მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევაა შესაძლებელი.

ხიდებს. სოფელ ახალქალაქში, მდინარე თეძამზე მიმდინარეობს ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. მასშტაბური პროექტი განხორციელდა 660 ოჯახიან სოფელ ქვემოჭალაში, სადაც სასმელი წყალი მიიღო ყველა ოჯახმა და პარალელურად მოხდა მათი სრული გამრიცხველიანება. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდათ ზემო ხანდაკის, ოკამის, ხიდისყურის, სვანების ქვედა დასახლების, დოესის, ქვემო გომის და ერთაწმინდის მოსახლეობას. გამყოფი ხაზისპირა სოფლებსა და სოფელ აღაიანში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები, სადაც შიდა დაქსელვის სამუშაოებია დაგეგმილი. კასპში ყოველწლიურად ხორციელდება წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე ეს პრობლემა 80% -ით გადაწყვეტილია და მთლიანად დასრულდება 2019-2020 წლებში. მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები. დღეს ბუნებრივი აირი მიეწოდება მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებსაც, თუმცა პრობლემა კვლავ არსებობს და იმედია გაზის კომპანია იგივე ტემპით გააგრძელებს თავის ვალდებულებების შესრულებას. წლის განმავლობაში აღნიშნულ სამუშაოებზე 32 მილიონამდე ლარი დაიხარჯა.

- დღეგანდელი მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვებსა და მათ მომავალზე...

- ჩვენი ხელისუფლების სტრატეგიამ, ბაღებში გადასახადის გაუქმებამ - საბავშვო ბაღი ყველა აღსაზრდელისთვის ხელმისაწვდომი გახადა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ბაღების დატვირთვა მნიშვნელოვნად გაიზარდა და საჭირო გახდა დამატებითი ჯგუფების გახსნა. ამისათვის კი სათანადო პირობების შექმნა აუცილებელია. 2017 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის N4 და N5, ხოლო ნაწილობრივ - 8 სოფლის საბავშო ბაღს. ეს სამუშაოები მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დაიწყო და ყველა მათგანის სრული რეაბილიტაციით დასრულდება. მნიშვნელოვანი სიახლეებია საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მხრივ. სოფელ თვალადში 200 მოსწავლეზე აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ოკამის და კავთისხევის საჯარო სკოლებს. მიმდინარეობს ქალაქის N1 საჯარო სკოლის მშენებლობა 600 მოსწავლეზე, რომლის დასრულებაც მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება. 2018 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა ვალდებულება აიღო საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მიმდინარე წელს იგეგმება რამოდენიმე საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებას...

- მინდა აღვნიშნო, რომ გასული წლის განმავლობაში მოსახლეობის სოციალურ დახმარებაზე 441 672 ლარი დაიხარჯა. 1 235 ბენეფიციარს 25 მუხლის სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 358 დევნილმა ოჯახმა საალდგომო სასაჩუქრე პაკეტი მიიღო. წლის განმავლობაში 80 989 ლარი დაიხარჯა სოციალურად დაუცველი 80 ადამიანის კვებაზე უფასო სასადილოში. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი დაფინანსებაა ბინათამხანაგობებისათვის. მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო საკუთარ კორპუსებზე ზრუნვა და თანადაფინანსებით კეთილმოწყობის სამუშაოებს ატარებს, ამ მიმართულებით გამოყოფილი 70 000 ლარი სრულად იქნა ათვისებული. ქალაქში რეაბილიტირებული ახალი სპორტული კომპლექსი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ავარიული და უფუნქციო იყო, დღეს საჭიდაო, კალათბურთის, ძალოსნობის დარბაზით, სპორტული ინვენტარით თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს და ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად იქცა. დაიწყო გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენაც. აღდგენილია კასპის საქალაქო და სოფელ ქვემოჭალის ბიბლიოთეკები - აღჭურვილი წიგნადი ფონდითა და კომპიუტერული ტექნიკით, მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. თვალსაჩინო წარმატებები გვაქვს სპორტში, კულტურულ ცხოვრებაში, წლებია რეგულარულად ტარდება სახალხო დღესასწაული „კასპობა“.







- რაც შეეხება გარემოს დაცვასა და დასუფთავებას...

- შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებით მობილიზებულია. ნარჩენები გადის არამარტო ქალაქიდან, არამედ 60 სოფლიდან, რამაც არსებული სიტუაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ამას ხელი შეუწყო მასობრივი დასუფთავების აქციებმა, რომელშიც საჯარო მოხელეები და ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს. გაიწმინდა სტიქიური ნაგავსაყრელები და მდინარის კალაპოტები. პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო“-ს ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „სუფთა რეგიონი“ 2015-2016-2017 წლები“-ს მიხედვით, კასპი აღიარეს გამარჯვებულ მუნიციპალიტეტად. ეს დამატებითი სტიმულია იმისათვის, რომ უფრო მეტად ვიზრუნოთ სისუფთავესა და გარემოს დაცვაზე. სიტუაციის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, მერიის ზედამხედველობის სამსახური სისტემატიურად ატარებს შემოწმებებს. ყოველწლიურად ორგანიზებას ვუწევთ გამწვანების აქციას და ვრგავთ მწვანე ნარგავებს, რათა ხელი შევუწყოთ სუფთა გარემოს და ჯანსაღი ცხოვრების პირობებს.

- შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი მიზანი, სწორედ მოსახლეობაზე ზრუნვაა...

- მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვცდილობთ ყველა საკითხის მაქსიმალურად მოგვარებას. ამისათვის კი პრობლემების სიღრმისეული ცოდნაა აუცილებელი. მიგვაჩნია, რომ ჩვენსა და მოსახლეობას შორის არსებული კონტაქტი უნდა გაღრმავდეს, ხოლო გადაწყვეტილებების მიღების დროს მათი აზრი მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული. გასულ წელს მუნიციპალიტეტი მონაწილეობას იღებდა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური საფუძვლების გაძლიერება“. ჩვენს მიერ წარდგენილმა პროექტმა „ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა“ კონკურსში გაიმარჯვა და 17 000 ევროს დაფინანსება მოიპოვა. პროექტის მიზანი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მოქალაქეთა ინფორმირებულობითა და ჩართვის გზით, მუნიციპალიტეტის განვითარება და მომსახურების ხარისხის გაზრდა გახლდათ. ამ პროექტის საშუალებით 6 ადმინისტრაციულ ერთეულში, 3 მაღალმთიან სოფელში - ახალქალაქი, კავთისხევი, წინარეხი, და 3 გამყოფი ხაზის პირა სოფელში - კოდისწყარო, ქვემოჭალა, ოკამი გაიხსნაკომპიუტერული ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სათემო - საკონსულტაციო ცენტრები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურება.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- როგორც მოგახსენეთ, მუნიციპალიტეტს განვითარების სტრატეგიული გეგმა და მიმართულებები გააჩნია - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება, სამელიორაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. 2018 წელს დაგეგმილია სოფელ სამთავისის ტაძრის მიმდებარე გზის და ქალაქ კასპში - ეფრემ მეორის, ჭონქაძის, თაყაიშვილის ქუჩების სრული რეაბილიტაცია. ე.წ. „ქარწისის“ და ქეჩარუხის დასახლებებში, ლესელიძის ქუჩასა და გადამკვეთ ქუჩებზე (სამება, ქვათახევი, მეტეხი) მოეწყობა წყალარინების ცენტრალური მაგისტრალი და ქსელი. აღნიშნულ პროექტებზე უკვე გამოცხადებულია ელექტრონული სამუშაოების ტენდერი. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სადგურ მეტეხის დასახლების სასმელი წყლის სათავესა და ქსელს, აღდგება სოფლის ცენტრალური გზის 330 მეტრიანი ბეტონის გზის მონაკვეთი. მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მქონე სოფლებში - ერთაწმინდასა და წინარეხში მოეწყობა სასმელი წყლის სისტემა, ხოლო გამყოფი ხაზის პირა სოფლების საკორინთლო-ახალშენის მისასვლელი ორ კილომეტრიანი გზა მთლიანად მოასფალტდება. ასევე დაგეგმილია 6 სოფლის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს დაიწყება მეტეხი ქვემო-გომის 5,5 და წინარეხი-ქვათახევის 4,5 კილომეტრი სიგრძის გზების სამუშაოები, კასპში 200 მოსწავლეზე მრავალფუნქციური პროფესიული კოლეჯის მშენებლობა, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლის „გრაკლიანის გორაზე“ მისასვლელი გზა, აეტოსადგომი და ტურისტული ბაქანი მოეწყობა, რაც ვიზიტორებს ძეგლთან მისვლის და ექსპოზიციის ნახვის შესაძლებლობას მისცემს. მდინარე თეძამზე დაგეგმილია წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც მართლაც საუკუნის პროექტია და 12 სოფლის 7 000 ჰექტარ ფართობს გაასარწყავებს. 2018 წელს სოციალური დახმარების სხვადასხვა 25 მუხლს დაემატა ორი ახალი მუხლი: თვალის ოპერაციებისა და მარტოხელა დედების და დედმამით ობოლი ბავშვების დაფინანსება. ასევე თანხობრივად გაიზარდა სულ 9 მუხლის დაფინანსებაც. სოციალური დახმარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ 370 000 ლარითაა განსაზღვრული, თუმცა მათი ამოწურვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად თანხა გაიზრდება. დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ზემოთხსენებული პროექტების განხორციელებას ვერ შევძლებდით მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით - რომ არა საქართველოს ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების თანადგომა. ვეცდებით 2018 წელსაც, კვლავ ერთობლივი ძალისხმევით, განსახორციელებელი პროექტების და დაგეგმილი სამუშაოების შედეგები აისახოს თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობაზე.





HOTEL
BORJOMI AISI

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

შ.პ.ს „პოლიმერი“ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1“ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ-20 მმ დან - დ-630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული“ მილების წარმოება დაიწყო.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-140მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge



უკანასკნელ წლებში, ქართველი მომხმარებლისთვის, აქტიურად დადგა დღის წესრიგში თანამედროვე დიზაინისა და ხელმისაწვდომი ფასების მქონე სამშენებლო-სარემონტო მასალების ფართო ასორტიმენტის არსებობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პროდუქტების მაღალმა ხარისხმა და დახვეწილმა, ექსკლუზიურმა სტილმა. შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე გამოჩნდნენ კომპანიები, რომელთაც, მსოფლიო ბრენდებთან თანამშრომლობის საფუძველზე, მიზნად დაისახეს, ადგილობრივი მომხმარებლისთვის სამშენებლო-სარემონტო პროდუქცია უფრო ხელმისაწვდომი გაეხადათ. მათ შორის, ერთ-ერთი წარმატებული გახლავთ კომპანია „ნიუ დიზაინი“, სადაც ფასისა და ხარისხის შესაბამისი თანაფარდობით, მასობრივად ხელმისაწვდომი და კომფორტულია მსოფლიოში ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი სარემონტო-დეკორის პროდუქციის შეძენა.

ნიუ დიზაინი

კომპანია „ნიუ დიზაინი“ საკუთარ მომხმარებელს სარემონტო მასალების ფართო არჩევანს სთავაზობს.

„ნიუ დიზაინი“ სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობას მთელ საქართველოში ახორციელებს. კომპანიის მიზანია მყიდველს საუკეთესო ხარისხის ევროპული ბრენდების პროდუქცია მისაღებ ფასად შესთავაზოს, რაც, სარემონტო მასალების ბაზარზე მის ლიდერობას და მომხმარებელთა ფართო სპექტრს განაპირობებს.

კომპანია ნებისმიერი გემოვნებისა და ბიუჯეტის მქონე მომხმარებელს აკმაყოფილებს, ვინაიდან მარაგში 15000 მეტი დასახელების შპალერის, საუკეთესო ხარისხის შპალერის წებოს, გერმანული მეფერტის ბრენდის წყალ-ემულსიის და ლაქ-საღებავების, 450 მეტი სახეობის ლამინირებული იატაკის, სამშრიანი პარკეტის, კერამოგრანიტისა და კაფელ მეტლახის, იტალიური წებო-ცემენტი საუკეთესო არჩევანი გააჩნია. გარდა ამისა, ერთგული მომხმარებლისთვის შოუ რუმს დაემატა სიახლე - საუკეთესო ხარისხის ესპანური შემრევები და ონკანები.

„ნიუ დიზაინის“ პარტნიორები არიან ევროპაში სახელგანთქმული ბრენდები და დიზაინერები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიაში წარმოდგენილი პროდუქცია ადგილზე რაოდენობაშია წარმოდგენილი და მომხმარებელს მის შესაძენად რამდენიმე თვიანი ლოდინი არ უწევს.

„ნიუ დიზაინის“ განვითარებაზე, დამატებით, დადებითად მოქმედებს ის გარემოება, რომ კომპანიის დირექტორი და დამფუძნებელი აქტიურად არიან ჩართულები მუშაობის პროცესში და თავად ეხმარებიან მომხმარებელს კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ ასეთი დამოკიდებულება აძლევს სტიმულს სავაჭრო ცენტრებსა და ფილიალებში დასაქმებული რიგითი კონსულტანტების და მენეჯერების თავდაჯერებულობას და პროფესიონალიზმს.

თბილისი. კახეთის გზატკ., ეკ. ბაღდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01
მობ: (591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

NEW DESIGN





შპს ხიდმშენი-99

მისამართი:
საქართველო, ქ.მცხეთა.
დავით აღმაშენებლის ქ. №22

Ltd ARALI

E-mail: info.arali@gmail.com

შპს
არალი

ARALI LTD

ქალაქი ახალციხე,
აბასთუმნის გზატკეცილი №3.
ტელ.: 0356 22 32 69

ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

ფასადის თერმოიზოლაცია